საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/74

ქ. ბათუმი 21 აპრილი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“
(2021 წლის საშემოდგომო მიღება)
საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 21 აპრილის N438737 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ბურალტრული აღრიცხვა“ (მეხუთე დონე)** პროფესიული სტუდენტებისათვის **(2021 წლის საშემოდგომო მიღება)** კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით შეიქმნას საკვალიფიკაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) მადონა მიქელაძე - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) მამუკა გოგელია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი;
   გ) მანანა პატარაია - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;
   დ) თამთა ბერიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ ხელმძღვანელი;
   ე) ნატო ქართველიშვილი - დამსაქმებელი (შპს შუშის სახლი; შპს არგიტრანსი - მთავარი ბუღალტერი)“;
   ვ) ნინო ვარშალომიძე - დამსაქმებელი (შპს ლოიალტე; შპს ფინანსური კონსულტაციების ჯგუფი - მთავარი ბუღალტერი);
2. კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებით, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით და წინამდებარე ბრძანებით.

3. კომისიამ იმუშაოს 2023 წლის 04 მაისს, დღის 12:00 საათიდან 17:00 საათამდე.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის აქტები" და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'').
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და კომისიის წევრებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**